ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 35-104

"28" დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე



ნახაზები განსაზღვრავენ მანქანების დგომის მეთოდს. სქემების ზომები განისაზღვრება ისე, როგორც მოცემულია ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართ 4-ში, ხოლო ზონალური პარკირების აღმნიშვნელი შესაბამისი სიმბოლო (პირველი ზონის შემთხვევაში A, მე-2 ზონის შემთხვევაში B, ხოლო მე-3 ზონის შემთხვევაში C) უნდა იყოს თეთრი ფერის და დაიტანება ისე, როგორც მოცემულია ნახაზზე. ზონალური პარკირების აღმნიშვნელი შესაბამისი სიმბოლო, როგორც წესი, დაიტანება ერთი პარკირების ადგილის გამოტოვებით გზის სავალ ნაწილზე ან/და ბორდიურის ფილაზე იმ ადგილებში, სადაც არის ბორდიური და გზა ემიჯნება ტროტუარს.



ლურჯი



ყვითელი



მწვანე